ხელშეკრულება №168

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. წყალტუბო

9 ივლისი 2015 წელი

ერთი მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის კონსტანტინე მამისეიშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს "თაგი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი ვახტანგ ნატრიაშვილის სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის „დ" ქვეპუქტის, "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის მეორე პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის №67 დადგენილების შესაბამისად, სოფლის მხარდამჭერის პროგრამის ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2„შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.4„ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

## 2. შესყიდვის ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 შესყიდვის ობიექტი:

სოფ.ქვედა მესხეთი (ბროწეულა) - სპორტული მოედნის ღობის ამაღლება და გარე ეზოსთვის ძელსკამის შეძენა;

სოფ.პატრიკეთი - საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია ღობის მოწყობა;

2.2 კლასიფიკატორის კოდი: (45200000);

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 32569 (ოცდათორმეტიათასხუთასსამოცდაცხრა) ლარს;

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს

## 4. სამუშაოს შესრულების პირობები

4.1 სამუშაოების დასრულების ვადა – 2015 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით.

4.2 მიწოდების ადგილი – წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

## 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

5.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს, დაწუნებული სამუშაოების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

5.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.4. შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოთა შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოთა წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.

5.5 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიის ან სხვა ვალდებულებებისაგან.

## 6. დაზღვევა

**6.1** მიმწოდებელი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში დააზღვიოს შესყიდვის ობიექტი და/ან მისი ნაწილები (ცალკეული ელემენტები, დანადგარები და წარმოების სხვა საშუალებები, ქონება, მიწოდებლის და/ან სუბკონტრაქტორის პერსონალი და სხვა).

## 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 „შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად.

7.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია ჩაატაროს ექსპერტიზა (სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნა) შესრულებული სამუშაობის ხარისხზე, მოცულობასა და ფასებზე, აგრეთვე ქვეყანაში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობაზე - სამუშაოს საბოლოო მიღება-ჩაბარების დროს.

7.3 სამუშაოს დასრულების ვადათ ითვლება „შემსყიდველი" ორგანიზაციის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ სამუშაოს დასრულების დადასტურების დღე;

7.4 მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს:

ა) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ღირებულება;

ბ) ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

გ) შესყიდვის ობიექტის ადგილზე მიწოდების დამადასტურებელი ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებისა და შესაბამისი სოფლის რწმუნებულის ხელმოწერები, აგრეთვე ფაქტობრივი მიწოდების დამადასტურებელი ფოტო მასალები.

## 8. ანგარიშსწორება და ვალუტა

8.1 ანგარიშსწორება ხორციელდება „მიმწოდებლის" წერილობითი მომართვის საფუძველზე;

8.2 „მიმწოდებლის" წერილობითი მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ღირებულება;

ბ) შესრულებული სამუშაოს შესაბამისად ამოწერილი საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა/სასაქონლო ზედნადები.

8.3 „მიმწოდებლი"–ს მოთხოვნით, მხარეთა შორის 30%–ის ფარგლებში წინასწარ ანგარიშსწორებაზე მიღწეული შეთანხმების შემთხვევაში, „მიმწოდებლი"–ს მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი მხოლოდ საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული უპირობო გარანტია, საავანსო გადახდის თანხაზე, რომლის მოქმედების ვადა 2 (ორი) თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების დასრულების ვადას. სამუშაოების ეტაპობრივი შესრულების შემთხვევაში გაცემული ავანსის 50%-ის ჩათვლა მოხდება შესრულების პირველ ეტაპზე, ხოლო დარჩენილი 50%-ის ჩათვლა მოხდება საბოლოო ანგარიშსწორებისას;

8.3 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

## 9. ფასები

9.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

9.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

9.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

## 10. გარანტია

**10.1** „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ შეასრულებს სამუშაოს არსებული სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით.

**10.2** შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა განისაზღვრება 2 (ორი) წლით, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

## 11.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

**11.1** არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

**11.2** თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

**11.3** ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული

შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. უფლებების გადაცემა

12.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

12.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისთვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

12.3 შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში უფლება-მოვალეობების გადაცემა (მთლიანად ან ნაწილობრივ) ფორმდება წერილობითი სახით შემსყიდველსა, მიმწოდებელსა და მესამე პირს შორის.

## 13. სუბკონტრაქტორები

13.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

## 14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავის გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

## 15. მხარეთა უფლება-მოვალეობები

15.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

–შესასრულებელი სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია;

15.2 შემსყიდველი ვალდებულია:

– უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

15.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

15.4 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

15.5 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულებისას მაქსიმალურად დაასაქმოს ადგილობრივი მოსახლეობა და წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია;

## 16. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

16.1. დაუძლეველი ძალის გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

16.1.1. შესასრულებელ სამუშაოთა თვითნებურად შეწყვეტის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება საჯარიმო სანქციები ხელშეკრულების საერთო ღირებულების 30%-ს.

16.1.2. თუ მიმწოდებელი გადააცილებს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით;

16.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში;

16.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 17. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

17.1 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) თუ მიმწოდებელი სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

გ) იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ს;

დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ე) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

17.2 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა)თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ)თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

17.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 18. ფორს-მაჟორი

18.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

18.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

18.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

18.4 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

## 19. სადაო საკითხების გადაწყვეტა

19.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

19.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 20. გამოყენებული სამართალი

20.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 21. ხელშეკრულების ენა

21. ხელშეკრულება შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე შედგენილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

## 22. შეტყობინება

22.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ელექტრონული ფოსტის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

22.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## 23. გადასახადები და დაბეგვრა

23.1 უცხოური მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადების, ბაჟების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

23.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

## 24. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

24.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 25. სხვა პირობები

25.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

25.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

25.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

25.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

25.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

### მხარეთა რეკვიზიტები:

**შემსყიდველი:**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
მის: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.№25
ს/ს „ლიბერთი ბანკის" წყალტუბოს ფილიალი
ბ/კოდი: LBRTGE22
ა/ა №GE25LB0120123490525000
ს/კოდი221274546

მუნიციპალიტეტის გამგებელი
კონსტანტინე მამისეიშვილი

**მიმწოდებელი:**

შპს "თაგი"
მის : ქ.ქუთაისი, არაგვისპირეთი №34
სს "საქართველოს ბანკი"
ბ/კოდი: BAGAGE22
ა/ა № GE68BG0000000623405200
ს/კოდი: 412681824

დირექტორი
ვახტანგ ნატროშვილი

## წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფელ ქვედა მესხეთში ბროწეულა სპორტული მოედნის დობის ამაღლება და გარე ეზოსთვის ძელსკამების შეძენა

## ხარჯთაღრიცხვა

შედგენილია 2015წ II კვ. დონეზე

| № | საფუძველი | სამუშაოს დასახელება | განზ. | ნორმატიული რესურსი | | ხელფასი | | მასალა | | სამშენებლო მექანიზმები | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთეულზე | სულ | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| 1 | | ტერიტორიის შემოღობვა სექციებით შევსებადით კუთხოვანაში 40X40X3მ ჩასმული პროექტის მიხედვით (3X1,5მX32ც) დაშლა-მონტაჟი და ახალი ფოლადის კვადრატული მილების მონტაჟი პროექტის მიხედვით | 100მ² | | 1.44 | | | | | | | |
| | 9-17-5 | შრომითი რესურსი | კ/სთ | 42.5 | 61.2 | 4.60 | 281.52 | | | | | 281.52 |
| | გამოანგარიში ფასი | შშა სექციები შევსებადით 60X60X2,8მმ კუთხოვანაში 40X40X3მმ ჩასმული პროექტის მიხედვით (3X1,5მX32ც) | ც | | 32.000 | | | 60.00 | 1,920.00 | | | 1,920.00 |
| | | ფოლადის კვადრატული მილები 50X50მმ სისქით 2მმ 1,7მX34ც | გრძ.მ | | 57.800 | | | 4.49 | 259.52 | | | 259.52 |
| | | ფოლადის კვადრატული მილები 40X40მმ სისქით 3მმ 1მX34ც | გრძ.მ | | 34.000 | | | 5.76 | 195.84 | | | 195.84 |
| 2 | გამოანგარიში ფასი | დაზიანებული სექციების დემონტაჟი და ახალი შშა სექციები შევსებადით 60X60X2,8მმ კუთხოვანაში 40X40X3მმ ჩასმული პროექტის მიხედვით (3X1,5მX2ც) მონტაჟი | ც | | 2.000 | | | 65.00 | 130.00 | | | 130.00 |
| | საბაზრო | ძელსკამები | ც | | 4.000 | | | 340.00 | 1,360.00 | | | 1,360.00 |
| | | ჯამი | | | | | 281.52 | | 3,865.36 | | - | 4,146.88 |
| | | ზედნადები ხარჯები | 10% | | | | 28.15 | | 386.54 | | - | 414.69 |
| | | ჯამი | | | | | 309.67 | | 4,251.90 | | - | 4561.57 |
| | | გეგმიური მოგება | 8% | | | | 24.77 | | 340.15 | | - | 364.93 |
| | | ჯამი | | | | | 334.45 | | 4,592.05 | | - | 4926.50 |
| | | დღგ | 18% | | | | 60.20 | | 826.57 | | - | 886.77 |
| | | ჯამი | | | | | 394.65 | | 5,418.62 | | - | 5813 |

შპს „თაგი" "TAGI" LTD 412681824

# წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატრიკეთში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია

## ხარჯთაღრიცხვა

| № | საფუძველი | სამუშაოს დასახელება | განზ. | ნორმატიული რესურსი | | ხელფასი | | მასალა | | სამშენებლო მექანიზმები | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთეულზე | სულ | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| 1 | 46-33-1 | არსებული კიბის საფეხურების დაშლა მისი დასაწყობებით შემდეგი გამოყენებისათვის | 100კვ.მ | | 0.0910 | | | | | | | |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 500.00 | 45.50 | 4.60 | 209.30 | | | | | 209.30 |
| | | მანქანები | ლარი | 39.80 | 3.62 | | | | | 3.20 | 11.59 | 11.59 |
| 2 | 6-16-1 | რკინაბეტონის ფილის მოწყობა კიბის უჯრედის ღიობში სისქით 15სმ | 100მ³ | | 0.0187 | | | | | | | |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 840.00 | 15.71 | 4.600 | 72.26 | | | | | 72.26 |
| | | მანქანები ბეტონის ტრანსპორტირებისათვის | ლარი | 81.00 | 1.51 | | | | | 26.20 | 39.69 | 39.69 |
| | | ბეტონი B-15 | მ³ | 101.00 | 1.89 | | | 96.00 | 181.32 | | | 181.32 |
| | | კუთხოვანა 100X100X800 4,35X1ც და 1,3X2ც | მ | | 6.95 | | | 21.20 | 147.34 | | | 147.34 |
| | | არმატურა დ-16მმ ა-III | მ | | 63.00 | | | 2.09 | 131.67 | | | 131.67 |
| | | არმატურა დ-14მმ ა-III | მ | | 63.00 | | | 1.60 | 100.80 | | | 100.80 |
| | | მავთული შესაკრავი | კგ | | 0.50 | | | 1.70 | 0.85 | | | 0.85 |
| | | დასაყრდენი ხე-მასალა ქარგილებისათვის | მ³ | 7.085 | 0.13 | | | 386.00 | 51.14 | | | 51.14 |
| | | სხვა ხარჯები | ლარი | 39.000 | 0.729 | | | 3.20 | 2.33 | | | 2.33 |
| 3 | 46-14-2 | არსებული კიბეებით ახალი უჯრედის მოწყობა | 100მ | | 0.0614 | | | | | | | |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 251.00 | 15.41 | 4.60 | 70.89 | | | | | 70.89 |
| | | შველერი №14 | მ | | 11.00 | | | 22.00 | 242.00 | | | 242.00 |
| | | მზა მოაჯირები | მ² | | 9.72 | | | 35.00 | 340.20 | | | 340.20 |
| | | მანქანები | ლარი | 0.64 | 0.04 | | | | | 3.20 | 0.13 | 0.13 |
| 4 | | **არსებული ტიხრის დემონტაჟი** | მ³ | | **7.4000** | | | | | | | |
| | 46-23-4 | შრომითი რესურსები | კაც/სთ | **6.50** | **48.10** | 4.60 | 221.26 | | | | | 221.26 |
| 5 | 46-15-2 | კედლების გაწმენდა დაზიანებული ნალესისაგან (ამანქანაზე დატვირთვით და გატანით) | 100კვ.მ | | 2.0000 | | | | | | | |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 18.60 | 37.200 | 4.60 | 171.12 | | | | | 171.12 |
| | | მანქანები | ლარი | 0.16 | 0.320 | | | | | 3.20 | 1.02 | 1.02 |
| 6 | | **კედლის ლესვა ცემენტის ხსნარით** | 100კვ.მ | | 2.0000 | | | | | | | |
| | 15-55-9-11 | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 117.160 | 234.320 | 4.60 | 1,077.87 | | | | | 1,077.87 |
| | | მანქანები | ლარი | 2.700 | 5.400 | | | | | 3.20 | 17.28 | 17.28 |
| | | ცემენტის ხსნარი 1:3 | კუბ.მ | 2.499 | 0.825 | | | 84.00 | 69.27 | | | 69.27 |
| | | სხვა ხარჯები | ლარი | 0.300 | 0.099 | | | 3.20 | 0.32 | | | 0.32 |
| 8 | 10-8-5 | **თაბაშირ-მუყაოს ტიხრების მოწყობა** | 100კვ.მ | | 0.3695 | | | | | | | |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 180.000 | 66.510 | 4.60 | 305.95 | | | | | 305.95 |
| | | მანქანები | ლარი | 24.400 | 9.016 | | | | | 3.20 | 28.85 | 28.85 |
| | გამოანგარიშებით | თაბაშირ მუყაოს ღიობის პროფილების კომპლექტით | კვ.მ | | 73.900 | | | 7.50 | 554.25 | | | 554.25 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 10-8-5 | თაბაშირ-მუყაოს ტიხრების მოწყობა ტუალეტებისათვის და საკუჭნაოსათვის | 100კვ.მ | | 0.2376 | | | | | | | 196.73 |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 180.000 | 42.768 | 4.60 | 196.73 | | | | | |
| | | მანქანები | ლარი | 24.400 | 5.797 | | | | | 3.20 | 18.55 | 18.55 |
| | გამოანგარიშებით | თაბაშირ მუყაო ნესტგამძლე ლითონის პროფილების კომპლექტით | კვ.მ | | 47.520 | | | 8.00 | 380.16 | | | 380.16 |
| | | პენოპლასტი სისქით 10სმ | კვ.მ | | 23.760 | | | 6.20 | 147.31 | | | 147.31 |
| 10 | 10-8-5 | თაბაშირ-მუყაოს მოწყობა ჭერზე | 100კვ.მ | | 1.7450 | | | | | | | 1,444.86 |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 180.000 | 314.100 | 4.60 | 1,444.86 | | | | | |
| | | მანქანები | ლარი | 24.400 | 42.578 | | | | | 3.20 | 136.25 | 136.25 |
| | გამოანგარიშებით | თაბაშირ მუყაო ლითონის პროფილების კომპლექტით | კვ.მ | | 174.500 | | | 7.50 | 1,308.75 | | | 1,308.75 |
| 12 | 46-32-3 | არსებული კარის ბლოკის დემონტაჟი | 100კვ.მ | | 0.10450 | | | | | | | 42.64 |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 88.70 | 9.27 | 4.60 | 42.64 | | | | | |
| 13 | 46-32-1 | არსებული ფანჯრების დემონტაჟი | 100მ² | | 0.16830 | | | | | | | 131.61 |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 170.00 | 28.61 | 4.60 | 131.61 | | | | | |
| | | მანქანები | ლარი | 9.80 | 1.65 | | | | | 3.20 | 5.3 | 5.28 |
| 14 | 9-14-5გამ | მეტალოპლასტიკის ფანჯრების მოწყობა ორმაგი მინაპაკეტით | 100მ² | | 0.16830 | | | | | | | 93.68 |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 121.00 | 20.36 | 4.60 | 93.68 | | | | | |
| | | ფანჯრის ბლოკის ღირებულება | კვ.მ | | 16.83 | | | 115.00 | 1,935.45 | | | 1,935.45 |
| | | მანქანები | ლარი | 24.50 | 4.12 | | | | | 3.20 | 13.19 | 13.19 |
| 15 | 10-20-1გამ | მდფ, მეტალოპლასტმასის კარების მოწყობა | კვ.მ | | 21.57 | | | | | | | 90.69 |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 0.91 | 19.71 | 4.60 | 90.69 | | | | | |
| | | მანქანები | ლარი | 0.35 | 7.61 | | | | | 3.20 | 24.37 | 24.37 |
| | | მდფ კარები 0,95X2,23მX8ც | კვ.მ | | 16.950 | | | 80.00 | 1,356.00 | | | 1356.00 |
| | | მეტალოპლასტმასის კარები 0,7X2,28X3ც | კვ.მ | | 4.620 | | | 120.00 | 554.40 | | | 554.40 |
| 20 | 17-4-2. | უნიტაზების მოწყობა | ცალი | | 2.00 | | | | | | | 27.78 |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 3.02 | 6.04 | 4.60 | 27.78 | | | | | |
| | | მანქანები | ლარი | 0.14 | 0.28 | | | | | 3.20 | 0.90 | 0.90 |
| | | უნიტაზები სამაგრით | კომპ | | 4.00 | | | 350.00 | 1,400.00 | | | 1,400.00 |
| | | ტრაპი | ცალი | | 2.00 | | | 5.00 | 10.00 | | | 10.00 |
| | | დანარჩენი ხარჯები | ლარი | 1.32 | 2.64 | | | 3.20 | 8.45 | | | 8.45 |
| 21 | 17-20 | ხელსაბანის მოწყობა | ცალი | | 2.00 | | | | | | | 20.15 |
| | 17-1-5. | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 2.19 | 4.38 | 4.60 | 20.15 | | | | | |
| | | მანქანები | ლარი | 0.07 | 0.14 | | | | | 3.20 | 0.45 | 0.45 |
| | | ხელსაბანის ღირებულება | ცალი | 1.00 | 2.00 | | | 80.00 | 160.00 | | | 160.00 |
| | | დანარჩენი ხარჯები | ლარი | 0.37 | 0.74 | | | 3.20 | 2.37 | | | 2.37 |
| 23 | 17-53 | ონკანის მოწყობა | ცალი | | 2.00 | 4.60 | 9.20 | | | | | 9.20 |
| | | ონკანის ღირებულება | ცალი | 1.00 | 2.00 | | | 25.00 | 50.00 | | | 50.00 |
| | | | | | | | | | | | | |
| 25 | 16-6-1. | პლასტმასის წყლის მილების დ=20მმ მოწყობა | 100გრძ.მ | | 0.150 | | | | | | | 42.02 |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 60.90 | 9.14 | 4.60 | 42.02 | | | | | |
| | | მანქანები | ლარი | 0.21 | 0.03 | | | | | 3.20 | 0.10 | 0.10 |
| | | პლასტმასის წყლის მილები დ=20მმ | გრძ.მ | 100.00 | 15.00 | | | 2.56 | 38.40 | | | 38.40 |
| | | მუხლი და სამკაპი და სხვა დამხმარე მასალები დ-20 | ცალი | | 12.00 | | | 3.00 | 36.00 | | | 36.00 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 26 | 16-6-1. | პლასტმასის საკანალიზაც. მილები დ=50მმ | 100გრძ.მ. | | 0.010 | | | | | | | |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 60.90 | 0.61 | 4.60 | 2.80 | | | | | 2.80 |
| | | მანქანები | ლარი | 0.21 | 0.00 | | | | | 3.20 | 0.01 | 0.01 |
| | | მილი პლასტმასის საკანალიზაციო დ=50მმ | გრძ.მ. | 100.00 | 1.00 | | | 4.00 | 4.00 | | | 4.00 |
| | | მუხლი დ-50 | ცალი | | 2.00 | | | 3.00 | 6.00 | | | 6.00 |
| | | მუხლი დ-100-50 | ცალი | | 2.00 | | | 5.00 | 10.00 | | | 10.00 |
| | | სამკაპი დ-50-50 | ცალი | | 1.00 | | | 5.00 | 5.00 | | | 5.00 |
| 27 | 16-6-2. | პლასტმ. საკანალიზაციო მილები დ=100მმ | 100გრძ.მ. | | 0.090 | | | | | | | |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 58.30 | 5.25 | 4.60 | 24.14 | | | | | 24.14 |
| | | მანქანები | ლარი | 0.46 | 0.04 | | | | | 3.20 | 0.13 | 0.13 |
| | | მილი პლასტმ. საკანალიზაციო დ=100მმ | გრძ.მ. | 100.00 | 9.00 | | | 5.00 | 45.00 | | | 45.00 |
| | | მუხლი დ100 | ცალი | | 3.00 | | | 3.00 | 9.00 | | | 9.00 |
| | | სამკაპი დ100-100 | ცალი | | 3.00 | | | 10.00 | 30.00 | | | 30.00 |
| | | **I სართულის აივანზე ორი ოთახის მოწყობა** | | | | | | | | | | |
| 1 | 8-15-1 | კედლების მოწყობა ბლოკით 5,5X2,18X2ც სისქით 2.66მ | მ² | | 7.90 | | | | | | | |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 3.360 | 26.544 | 4.60 | 122.10 | | | | | 122.10 |
| | | მანქანები | ლარი | 0.920 | 7.268 | | | | | 3.20 | 23.26 | 23.26 |
| | | ცემენტის ხსნარი მ-50 | კუბ.მ. | 0.110 | 0.869 | | | 73.00 | 63.44 | | | 63.44 |
| | | ბლოკი 39X19X19 | ცალი | | 513.000 | | | 1.10 | 564.30 | | | 564.30 |
| | | მანქანები ბლოკის ტრანსპორტირებისათვის | ტ | | 7.695 | | | | | 11.33 | 87.18 | 87.18 |
| | | სხვა ხარჯები | ლარი | 0.060 | 0.474 | | | 3.20 | 1.52 | | | 1.52 |
| 2 | | კედლის ლესვა ცემენტის ხსნარით | 100კვ.მ. | | 1.20 | | | | | | | |
| | 15-55-9-11 | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 117.160 | 140.592 | 4.60 | 646.72 | | | | | 646.72 |
| | | მანქანები | ლარი | 2.700 | 3.240 | | | | | 3.20 | 10.37 | 10.37 |
| | | ცემენტის ხსნარი 1:3 | კუბ.მ. | 2.499 | 2.999 | | | 84.00 | 251.90 | | | 251.90 |
| | | სხვა ხარჯები | ლარი | 0.300 | 0.360 | | | 3.20 | 1.15 | | | 1.15 |
| 3 | 15-168-7. | კედლების მომზადება და შეღებვა წყალემულსიური საღებავით | 100კვ.მ. | | 0.8 | | | | | | | |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 65.800 | 52.640 | 4.60 | 242.14 | | | | | 242.14 |
| | | მანქანები | ლარი | 1.000 | 0.800 | | | | | 3.20 | 2.56 | 2.56 |
| | | საღებავი | კგ | 63.00 | 50.400 | | | 4.00 | 201.60 | | | 201.60 |
| | | საფითხნი | კგ | 79.000 | 63.200 | | | 0.50 | 31.60 | | | 31.60 |
| | | სხვა ხარჯები | ლარი | 1.600 | 1.280 | | | 3.20 | 4.10 | | | 4.10 |
| 4 | 15-168-8. | ჭერის მომზადება და შეღებვა წყალემულსიური საღებავით | 100კვ.მ. | | 0.264 | | | | | | | |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 85.600 | 22.598 | 4.60 | 103.95 | | | | | 103.95 |
| | | მანქანები | ლარი | 1.000 | 0.264 | | | | | 3.20 | 0.84 | 0.84 |
| | | საღებავი | კგ | 63.00 | 16.632 | | | 4.00 | 66.53 | | | 66.53 |
| | | საფითხნი | კგ | 92.000 | 24.288 | | | 0.50 | 12.14 | | | 12.14 |
| | | სხვა ხარჯები | ლარი | 1.800 | 0.475 | | | 3.20 | 1.52 | | | 1.52 |
| 5 | 9-14-5კ.მ | მეტალოპლასტიკის ფანჯრების მოწყობა ორმაგი მინაპაკეტით | 100მ² | | 0.03600 | | | | | | | |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 121.00 | 4.36 | 4.60 | 20.04 | | | | | 20.04 |
| | | ფანჯრის ბლოკის ღირებულება 1,2X1,50X2ც | კვ.მ | | 3.60 | | | 115.00 | 414.00 | | | 414.00 |
| | | მანქანები | ლარი | 24.50 | 0.88 | | | | | 3.20 | 2.82 | 2.82 |
| 6 | 10-20-1კ.მ | მეტალოპლასტმასის კარების მოწყობა | კვ.მ | | 3.96 | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 0.91 | 3.62 | 4.60 | 16.65 | | | | | 16.65 |
| | | მანქანები | ლარი | 0.35 | 1.40 | | | | | 3.20 | 4.47 | 4.47 |
| | | მეტალოპლასტმასის კარები 0.9X2,2(X2ც) | კვ.მ | | 3.960 | | * | 120.00 | 475.20 | | | 475.20 |
| | | ჯამი . | | | | | 5,406.55 | | 11,406.77 | | 429.29 | 17,242.61 |
| | | ზედნადები ხარჯები | 10% | | | | 540.66 | | 1,140.68 | | 42.93 | 1,724.26 |
| | | ჯამი | | | | | 5,947.21 | | 12,547.45 | | 472.22 | 18,966.87 |
| | | გეგმიური მოგება | 8% | | | | 475.78 | | 1,003.80 | | 37.78 | 1,517.35 |
| | | ჯამი | | | | | 6,422.99 | | 13,551.24 | | 510.00 | 20,484.22 |
| | | ელ. სამონტაჟო სამუშაოები | | | | | | | | | | |
| 1 | 8-591-9 | ჩამრთველის მონტაჟი | 100ცალი | | 0.120 | | | | | | | |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 27.00 | 3.240 | 4.60 | 14.90 | | | | | 14.90 |
| | | ჩამრთველი | ცალი | 100.00 | 12.00 | | | 3.55 | 42.60 | | | 42.60 |
| 2 | 8-591-9 | შტეფსელების მონტაჟი | 100ცალი | | 0.240 | | | | | | | |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 27.00 | 6.480 | 4.60 | 29.81 | | | | | 29.81 |
| | | შტეფსელი | ცალი | 100.00 | 24.00 | | | 3.55 | 85.20 | | | 85.20 |
| 4 | 8-409-1 | სპილენძის სადენის 3X2,5მმ² და 3X4მმ² მონტაჟი | მ | | 560.00 | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 0.04 | 22.400 | 4.60 | 103.04 | | | | | 103.04 |
| | | სხვა მანქანა | ლარი | 0.02 | 13.05 | | | | | 3.20 | 41.75 | 41.75 |
| | | მასალა: | | | | | | | | | | |
| | | სპილენძის სადენი კვეთით 3X2,5მმ² | მ | | 540.00 | | | 2.50 | 1,350.00 | | | 1,350.00 |
| | | სპილენძის სადენი კვეთით 3X4მმ² | მ | | 20.00 | | | 3.70 | 74.00 | | | 74.00 |
| 5 | | პორნები 32ა | ც | | 2.00 | | | 5.00 | 10.00 | | | 10.00 |
| 6 | | პორნი 150ა | ც | | 1.00 | | | 150.00 | 150.00 | | | 150.00 |
| 7 | | ყუთი | ც | | 1.00 | | | 16.00 | 16.00 | | | 16.00 |
| | | ჯამი | | | | | 147.75 | | 1,727.80 | | 41.75 | 1,917.31 |
| | | ზედნადები ხარჯები მონტაჟზე | 75% | | | | 110.81 | | | | | 110.81 |
| | | ჯამი | | | | | 258.57 | | 1,727.80 | | 41.75 | 2,028.12 |
| | | სახარჯთაღრიცხვო მოგება | 8% | | | | 20.69 | | 138.22 | | 3.34 | 162.25 |
| | | ჯამი | | | | | 279.25 | | 1,866.02 | | 45.09 | 2,190.37 |
| | | სულ ჯამი | | | | | 6,702.24 | | 15,417.27 | | 555.09 | 22,674.59 |
| | | დღგ | 18% | | | | 1,206.40 | | 2,775.11 | | 99.92 | 4,081.43 |
| | | ჯამი | | | | | 7,908.64 | | 18,192.38 | | 655.01 | 26,756.02 |

შპს "თაგი" "TAGI" LTD 412681824